თბილისის "დინამოს" მეოთხე გამარჯვება

6 მაისს, ლ. პ. ბერიას სახელობის "დინამოს" სტადიონზე ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის და მინსკის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

რამდენიმე დღის წინათ მინსკელებმა ლენინგრადის "დინამოს" გუნდთან წააგეს ანგარიშით 1:3. ამის გამო მაყურებელთა დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ თბილისის დინამოელები ადვილად მოიგებდნენ ამ თამაშს.

მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

თამაშმა თავიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო. მინსკის გუნდის თავდამსხმელები შეველაჩიკი, პოლპინი და ჩიტაია ხშირად ახლოს მიდიოდნენ თბილისელთა კართან. მეკარე სანაიას მრავალი ბურთის აღება მოუხდა.

თამაშის პირველ 15 წუთს შედეგი არ მოჰყოლია. მეთექვსმეტე წუთზე ბორის პაიჭაძემ მოედნის ცენტრიდან ბურთი წაიღო პირდაპირ მოწინააღმდეგის კარისაკენ, შემდეგ მოულოდნელად გაექანა მოედნის მარცხენა ნაპირისაკენ, გაუსხლტა მინსკის გუნდის დამცველებს და მძლავრი კუთხური დარტყმით პირველი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

თამაში უფრო გაცხოველდა. მინსკის დინამოელები არა მარტო კარგად იცავდნენ თავს, არამედ შეტევაზეც გადადიოდნენ. პირველი ტაიმის დამთავრებას ორი წუთი აკლდა, რომ მათ საპასუხო ბურთი გაიტანეს თბილისელთა კარში.

ამრიგად, თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 1:1.

მეორე ტაიმის მეათე წუთზე პანიუკოვის მიერ შორი მანძილიდან დარტყმული ბურთი ვერ აიღო მინსკელთა მეკარემ კოჩეტოვმა. 2;1 თბილისელთა სასარგებლოდ. თბილისის დინამოელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, განავითარეს შეტევა და პაიჭაძემ მესამე ბურთი გაიტანა მინსკელთა კარში.

მინსკელთა შეუსუსტებელ თამაშს, რათა საპასუხო ბურთი გაეტანათ, წარმატება არ მოჰყოლია. შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 3:1.

ეს თბილისის დინამოელთა მეოთხე გამარჯვებაა მიმდინარე წლის პირველობის გათამაშებაში.

7 მაისი, 1946 წ.